**საკონტაქტო ინფორმაცია:**

სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org,

მაგდა ნოვაკოვსკა, UNDP საქართველო, +995 598 822544, magdalena.nowakowska@undp.org

ირინა სულავა, UNDP საქართველო, +995 599 579105, irine.sulava@undp.org

მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 50 01 37, m.makharashvili@idfi.ge

**გლობალური მიზნების ფესტივალი სოციალურ მედიაში:**

https://www.facebook.com/UNDPGeorgia

#SDGGeorgia #GlobalGoalsGeorgia #FutureInFocus #მომავალიშენ #SGS2017

# სტრიტ არტის დღე ქალაქ რუსთავში - მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო

**2017 წლის 24 სექტემბერს, 15:00-21:00, ქალაქ რუსთავის პარკში გაიმართება სტრიტ არტის დღე, რომელიც მთლიანად მიეძღვნება გლობალური მიზნების მთავარ თემებს - სიღარიბის შემცირებას, გარემოს დაცვას, განათლებას, ჯანდაცვას, ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას.**

ღონისძიების ორგანიზატორები არიან გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და ქალაქ რუსთავის მერია. ღონისძიების პარტნიორები და მხარდამჭერები კი შვედეთის მთავრობა, გაეროს მოხალისეები (UNV) და საერთაშორისო ორგანიზაციები Edgeriders და Futuremakers.

სტრის არტის დღეში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მხატვრები, მათ შორის LAMB, WPC, Dr. Love, Jokonda, მუსია ქებურია, TAmOonz, Slow Pulse, Gamez, Chilone და სხვები. მხატვრები შექმნიან კრეატიულ კომპოზიციებს რუსთავის პარკის ზაფხულის თეატრის კედლებზე და ასევე ჩაატარებენ მასტერ-კლასებს სტრიტ არტსა და გრაფიტიში ყველა მსურველისათვის. ამ დღეს, რუსთავის პარკში ასევე გაიმართება სახალისო შეჯიბრებებში ცეკვაში, სკეიტბორდინგსა და გრაფიტიში.

სტრიტ არტის დღე გაიმართება გლობალური მიზნების ფესტივალის „მომავალი = შენ“ ფარგლებში, რომელიც ტარდება გაეროს ინიციატივით მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით. საქართველოს ფესტივალი ეხმიანებოდა გლობალური მიზნების საერთაშორისო კვირეულს, რომელიც იმართება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაეროს გენერალური ასამბლეის პარალელურად.